სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

25 დეკემბერი, 2025 წელი

ბრძანება №01-02/236

პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

ბსუ-ს მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის №17/ნ ბრძანების, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პერსონალის ფუნქციათა (სამუშაო) აღწერილობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 16 აპრილის №01-10/40 ბრძანების და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №1785426 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ბსუ-ს მუშაობის წესი, წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის შესაბამისად.**
2. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული წესი განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ბსუ-ს იურიდიული ცნობარის ველში ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები", ველში ,,რექტორის აქტები", ასევე პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ველში ,,მარეგულირებელი დოკუმენტები").
3. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული შესაბამისი ღონისძიებების გატარება.
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით (მ. ხალვაში), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არუშიძე**

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 25 დეკემბრის № 01-02/236 ბრძანების

დანართი №1

პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ბსუ-ს მუშაობის წესი

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია ,,პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის №17/ნ ბრძანების (შემდეგში - **მინისტრის ბრძანება)** შესაბამისად და არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომ – მართვის სისტემა) სერვერზე განთავსებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში - პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (შემდეგში - სისტემა ან/და რეესტრი) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ბსუ) პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის (შემდეგში - ბსუ-ს პროფესიული ცენტრის) მუშაობის პირობებს, განსაზღვრავს სისტემაში ინფორმაციის შეტანისათვის უფლებამოსილ და პასუხისმგებელ პირს, ინფორმაციის შეტანის, რეგისტრირებულ ინფორმაციაში ცვლილების განხორციელებისა და სისტემიდან ინფორმაციის ამოღების პროცედურებს.

2. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში **მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით, დადგენილ ვადაში და წესით** აისახება ინფორმაცია ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე აპლიკანტების/ჩარიცხული პირების შესახებ, ასევე მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.

3. **მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად,** პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მუშაობისათვის, **ბსუ-ს მხრიდან განსაზღვრული უფლებამოსილი პირებია:** პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების **ცენტრის ხარისხის მართვის კოორდინატორი (ძირითადი შემსრულებელი) და** ცენტრის სასწავლო პროცესის მენეჯერი (უწევს კოორდინაციას). სისტემაში ინფორმაციის ასახვის პროცესს მონიტორინგს უწევს ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი.